

სუიციდი კულტურაში

ანა გუჯეჯიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების
ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო აბაკელია, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

დეკანს ბატონ გიორგი გვალას

ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევის

მაგისტრანტის ანა გუჯეჯიანის

განცხადება

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ კვლევას და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა გუჯეჯიანი

2017

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის – *სუიციდი კულტურაში* – მიზანია სხვადასხვა კულტურულ ჩარჩოში მოქცეული სუიციდის ფენომენის შესწავლა და ანალიზი განსაკუთრებული ფოკუსით შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპასა და საქართველოზე.

სუიციდი და მისი მთავარი კითხვა – სიკვდილი თუ სიცოცხლე? – განუყოფელია და თანმდევი ფენომენია ნებისმიერ დროსა დასივრცეში მოქცეული კულტურისათვის. იმისდა მიუხედავად, თუ როგორ აფასებს ამ მოვლენას საზოგადოება, რამდენად ცდილობს მის აღმოფხვრასა და კონტროლს სახელმწიფო თუ რელიგიური ინსტიტუტები, დასაშვებია თუ, პირიქით, სრულიად მიუღებელი – თვითმკვლელობა მუდმივ აქტუალურ პრობლემად რჩება.

შედარებითი მეთოდის გამოყენებით და ე. დიურკჰაიმის *სუიციდის შესახებ* სოციალურ თეორიაზე დაყრდნობით, ნაშრომში მოცემულია მცდელობა აჩვენოს ის მსგავსება-სხვაობები, რომლებიც არსებობს სუიციდისადმი დამოკიდებულებაში სხვადასხვა კულტურაში. თუ რა ცვლილებებს განიცდის ეს სოციალური ფაქტი, დიურკჰაიმისეული ტერმინოლოგია რომ ვიხმართ, ანტიკურობიდან მეთხუთმეტე საუკუნემდე და დინამიკაში ვაჩვენოთ თუ რამდენად და რატომ იცვლება სუიციდისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა კულტურაში.

დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების რეალის უკეთ გაგებისთვის ვიყენებთ შედარებით მეთოდს და განვიხილავთ სუიციდისადმი დამოკიდებულებას ანტიკურ და, იუდეურ საზოგადოებებში. ასევე, უპრიანად მიგვაჩნია შედარებისას ქართული მასალის გამოყენებაც, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნება ანტიკური და შუა საუკუნეების წყაროებს საქართველოს შესახებ და ჩვენს მიერ საქართველოში (და კერძოდ, სვანეთში) შეკრებილ ეთნოგრაფიულ საველე მასალას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დავინახოთ სუიციდისადმი დამოკიდებულება დინამიკაში და შეძლებისდაგვარად შევაფასოთ ის ლაკუნა, რომელიც ამ საკითხის შესწავლაში არსებობს საქართველოში.

შესაბამისად, ნაშრომში მოცემულია მცდელობა თვითმკვლელობა განხილულ იქნას სოციალურ განზომილებაში. როგორც სოციალური ფაქტი (დიურკჰაიმისეული გაგებით), რომელიც სოციალური სტრუქტურიდან

მომდინარეა. ნაშრომში სუიციდური ფაქტების კლასიფიკაციის საფუძველზე ნაჩვენებია, თუ როგორ შეუძლია გარკვეულ სოციალურ გარემოს უბიძგოს, გაამყაროს ან გაამძაფროს სუიციდური პოტენციალი, რომელიც კულტურიდან კულტურაში განსხვავებულია.

აღწერითი მასალის კლასიფიკაციისა და ანალიზის საფუძველზე თვალსაჩინო გახდა ,თუ როგორ და რატომ იცვლებოდა სუიციდისადმი დამოკიდებულება დროსა და სივრცეში დამორეზულ სხვადასხვა კულტურაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სუიციდი როგორც სოციალური ფაქტი, ეგოისტური სუიციდი, ალტრუისტული სუიციდი, ანომიური სუიციდი, შერეული სუიციდი.

Abstract

The Master's theses – Suicide in culture – aims to explore and analyze the phenomenon of suicide in various cultural settings with the special focus on Middle Ages of Western Europe and Georgia.

Suicide and its main question – death or life? – is an inseparable and attendant phenomenon of cultures manifested in different times and spaces. Despite the fact how suicide was appreciated by societies, in what degree the states tried to root out, eliminate and control it, or on the contrary, whether it was absolutely unacceptable – suicide remained ever present, urgent problem.

Using comparative method and based on E. Durkheim's social theory *on suicide* the present study aims to show similarities and differences existed in the attitudes towards suicide in various cultures; it tries to show the changes it undergoes as a social fact (to use Durkheim's terminology) starting from antiquity up till 15th century and to show the dynamics of change in the attitude towards suicide in different cultures over time.

In order to understand better the West-European realities the comparative method was used and the attitudes towards suicide were examined in Antique and Judean societies. While comparing, the Georgian data was also thought to be useful, that was based on the antique and medieval sources and ethnographic field data gathered by the author in Georgia (and in particular, in Svaneti) during 2017; all these enabled us to overview the existed attitudes on suicide in dynamics and helped us to fill in a considerable degree the lacuna (that existed on the mentioned problem in Georgia) with a certain insight.

Accordingly, the present study tried to examine suicide originated from the social structure of society through the lens of social dimension (in Durkheim's understanding).

Based on the classification of suicide facts, the study demonstrated how certain social settings could stimulate, strengthen or intensify suicide potential, that differed from culture to culture.

The classification and analysis of the descriptive data revealed how and why the attitudes towards suicide changed in various cultures, distant time and space.

Key words: suicide as a social fact, egoistic suicide, altruistic suicide, amonic suicide, mixed suicide.